



ს.ს.ი.პ. კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 35-ა

ქ. თბილისი

29 აპრილი 2020 წელი

სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის  
დამტკიცების შესახებ

სსიპ - კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილია 2020 წლის 27 აპრილის N349468 სამსახურებრივი ბარათი, რომლის თანახმად მოგვიანებით მოწოდებული შენიშვნების გათვალისწინებით დასამტკიცებლად წარმოადგინა კორექტირებული სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ 7 წლიანი სტრატეგიული (2019-2025 წლები) განვითარების გეგმა დანართის შესაბამისად. ასევე, ითხოვს არ მიეცეს მსვლელობა მის 2020 წლის 27 აპრილის №349104 სამსახურებრივ ბარათს და ძალადაკარგულად გამოაცხადდეს დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის № 33-ა ბრძანება.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, სსიპ - კოლეჯის „სპექტრი“ წესდების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა N1 დანართის თანახმად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს «სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ» სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N33-ა ბრძანება.
3. ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირებისათვის უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა ინა ქვრივიშვილმა.
4. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის. ქ.

თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი

*Handwritten signature*



როინ ტაკიძე